2417-15-5-2-202002271749

N 15-5/2417
27/02/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N9 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის ქართულენოვანი სატელევიზო არხების მაუწყებლობის ტრანსლაციის მიღების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მაღაზიისთვის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობის მიწოდების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება სპეციალური პენიტენციური სამსახურის N9 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის N13541/19 და N14926/20 განცხადებები. განმცხადებლის განმარტებით, დაწესებულებაში ტელეკომპანიების: „კავკასიის", „ფორმულას", „მთავარი არხის", „პალიტრა ტვ"-ის მაუწყებლობის მიღებისა და ყურების შესაძლებლობა არ აქვს. ამავდროულად კი ხორციელდება რუსულენოვანი ტელევიზიების ტრანსლაცია.

მსჯავრდებულისთვის მიწოდებული ინფორმაციით[1], N9 დაწესებულებაში ჩართულია 10 ქართულენოვანი (საზოგადოებრივი მაუწყებელი, „GDS", აჭარის ტელევიზია, „მაესტრო", „ერთსულოვნება", „იმედი", „music box", „silk universal", „ტვ პირველი", საკანონმდელო ბაზა) და 8 რუსულენოვანი ტელევიზია, რომელთა შორის, პატიმრის მიერ მოთხოვნილი ხსენებული 4 ქართულენოვანი სატელევიზიო არხი არ ფიქსირდება.

სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით,[2] პენიტენციურ დაწესებულებებში სატელევიზიო არხების მიღება ხორციელდება სატელიტური თანამგზავრიდან სამსახურის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; არხების შერჩევის პროცესში

[1] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N9 დაწესებულების 2019 წლის 17 ოქტომბრის N309518/26 წერილი.
[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 14 ნოემბრის N341524/01 წერილი. მსგავსი შინაარსის წერილი (2019 წლის 20 სექტემბრის N28077001) გაეგზავნა მსჯავრდებულ

გათვალისწინებულია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პატიმრების საჭიროებები და ხელმისაწვდომია როგორც საინფორმაციო-შემეცნებითი, ასევე, სპორტული და გასართობი სატელევიზიო არხები. ყველა ქართულენოვანი არხის ჩართვა ერთდროულად ტექნიკურად შეუძლებელია. N9 პენიტენციურ დაწესებულებაში დამატებითი არხის ჩართვისთვის ან არხის ჩანაცვლებისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობების დამატება, რომელიც, მოცემულ ეტაპზე, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურის არ გააჩნია.

წერილის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის უცნობია, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მსჯავრდებულ მიერ მითითებული ქართულენოვანი ტელევიზიების მიღება ე.წ. „სეტ ბოქსის" მეშვეობით,[3] რადგან N9 დაწესებულებაში „სეტ ბოქსი" არ არის ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შესაბამის ტელევიზიებს. მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ „მთავარი არხი" ხელმისაწვდომია თანამგზავრით და მისი მაუწყებლობა ხელმისაწვდომია ტექნიკური მოწყობილობის „სეტ ბოქსის" მქონე ყველა პირისთვის.[4] ასევე, ტელეკომპანია „ფორმულა" გადაიცემა სატელიტზე და მისი რეტრანსლირება ასევე ხდება „სეტ ბოქსის" მეშვეობით.[5]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სხვა დაწესებულებებშიც, N9 დაწესებულების მსგავსად, ჩართულია იგივე ქართულენოვანი ტელევიზიების მაუწყებლობა.[6] ქართულენოვანი ტელევიზიები: „მთავარი არხი", „ფორმულა", „ტვ პალიტრა" და „კავკასია" ჩამონათვალში არ გვხვდება.

თუმცა, N9 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისგან განსხვავებით, სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებისთვის შესაძლებელია ხსენებული არხების მიღება, რადგან ტელევიზიის მაუწყებლობის მიღებისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა („სეტ ბოქსი") არ იყიდება N9 დაწესებულების მაღაზიაში[7] და იყიდება როგორც მსგავსი ტიპის - დახურული ტიპის N2 და N8 დაწესებულებებში, ასევე, განსხვავებული - განსაკუთრებული რისკის N6 და N3 დაწესებულებებისა და N17 ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების მაღაზიებში.[8]

სამართლებრივი დასაბუთება

---

[3] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 12 დეკემბრის N371016/01 წერილი:

[4] შპს „მთავარი არხის" 2020 წლის 18 თებერვლის N0049-20 წერილი.

[5] შპს „ფორმულას" 2020 წლის 19 თებერვლის N20200219-001 წერილი. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ პენიტენციურ დაწესებულებებში „სეტ ბოქსები" არსებობს, რომელზეც უნდა განხორციელდეს „ფორმულას" რეტრანსლირება, შესაბამისი თხოვნით (საკაბელოდან) მიმართვისას შპს „ფორმულა" უზრუნველყოფს ტექნიკურ აღჭურვილობას და ნებართვის მინიჭებას რეტრანსლირებისთვის.

[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების 2020 წლის 10 თებერვლის N39059/25, N2 დაწესებულების 2020 წლის 14 თებერვლის N44050/20, N17 დაწესებულების 2020 წლის 13 თებერვლის N43214/32, N3 დაწესებულების 2020 წლის 11 თებერვლის N40271/21, N6 დაწესებულების 2020 წლის 10 თებერვლის N39335/23 წერილები. გარდა ქართულენოვანი ტელევიზიებისა, დამატებით ჩართულია აზერბაიჯანული, ინგლისური, არაბული, თურქული, სომხური და რუსულენოვანი ტელევიზიები.

[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N9 დაწესებულების 2020 წლის 06 თებერვლის N35463/26 წერილი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 12 დეკემბრის N371016/01 წერილი.

[8] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების 2020 წლის 10 თებერვლის N39059/25, N2 დაწესებულების 2020 წლის 14 თებერვლის N44050/20, N17 დაწესებულების 2020 წლის 13 თებერვლის N43214/32, N3 დაწესებულების 2020 წლის 11 თებერვლის N40271/21, N6 დაწესებულების 2020 წლის 10 თებერვლის N39335/23 წერილები.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლება:

....

„2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

....

5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს თანასწორობის უფლებას:

„1.ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს, გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ.[9]

ციხის ევროპული წესების თანახმად, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში.[10]

საქართველოს კანონმდებლობით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.[11] პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც წესი, ხდება რადიო და ტელეტრანსლაცია.[12] ბრალდებულს/მსჯავრდებულს, გარდა დისციპლინური პატიმრობაშეფარდებულისა ან/და სამარტოო საკანში მოთავსებულისა, შეიძლება მიეცეს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება.[13]

---

[9] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 39-ე მუხლი.

[10] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის რეკომენდაცია ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით 24.10 პუნქტი.

[11] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ.“ ქვეპუნქტი.

[12] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანების 49-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[13] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანების 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, პატიმრობის, დახურული ტიპის ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმარს ან პატიმართა ჯგუფს დაწესებულების დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს პირადი ტელევიზორის შეძენის უფლება, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდე. პატიმარმა ან პატიმართა ჯგუფმა აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინოს საკუთარი ხარჯით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში.[14]

ამასთან, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ უფლება აქვს დაწესებულების მაღაზიაში შეიძინოს კვების პროდუქტები, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნები პირად ანგარიშზე არსებული თანხით ყოველთვიურად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.[15] პირადი ტელევიზორი მიეკუთვნება იმ საგანებისა და ნივთების კატეგორიას, რომელიც N9 დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მაღაზიაში შეიძინოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად.[16] მოცემული ტექნიკის გამოყენების პირობები განისაზღვრება დაწესებულების დებულებით, რომლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია ჩამოართვას ბრალდებულს/მსჯავრდებულს ტექნიკა[17].

წინამდებარე შემთხვევის ანალიზი

ამდენად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N9 - პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს ტელეტრანსალაციით ინფორმაციის მიღების უფლება აქვთ, რისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ დაწესებულების მაღაზიაში შეიძინონ ტელევიზორი.

ამასთან, N9 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისგან განსხვავებით, სხვა დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ უყურონ მათთვის სასურველი ქართულენოვანი ტელევიზიების მაუწყებლობას დაწესებულებების მაღაზიებში შეძენილი ტექნიკის („სეტ ბოქსების") გამოყენებით. N9 დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს არ ეძლევათ აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, რადგან N9 დაწესებულების მაღაზიაში არ იყიდება „სეტ ბოქსები".

შესაბამისად, N9 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის სასურველი ქართულენოვანი ტელევიზიების საშუალებით ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვა დამატებით ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლების შეზღუდვას. მოცემულ დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის, მათთან არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირებისგან განსხვავებით, დაწესებულების მაღაზიაში ე.წ. „სეტ ბოქსების" ყიდვის შესაძლებლობის არქონა წარმოადგენს თანასწორობის უფლებაში ჩარევას (ტერიტორიული

---

[14] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის 2^1 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანების 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[15] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

[16] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N9 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანების მე-3 დანართის მე-19 პუნქტი.

[17] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანების 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ნიშნით - N9 დაწესებულებაში მოთავსება), შეზღუდვის გამართლებისთვის აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის წარმოდგენის გარეშე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცნობით, მსჯავრდებული .]იერ მოთხოვნილი ტელევიზიების დამატებით ჩართვისთვის ან/და ჩანაცვლებისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობის დამატების შესაძლებლობა სამსახურს არ გააჩნია. თუმცა, რაკი პატიმრის მიერ მოთხოვნილი მოცემული არხების ტრანსლაციის ყურება შესაძლებელია „სეტ ბოქსის" საშუალებით, მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია, N9 დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ „სეტ ბოქსების" შესყიდვის შესაძლებლობა მოცემული დაწესებულების მაღაზიიდან. აღნიშნული მოწყობილობა იყიდება სხვა ტიპის პენიტენციური დაწესებულებების მაღაზიებში და N9 დაწესებულებაში მისი გაყიდვის აკრძალვის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი არ არსებობს.

ამდენად, აუცილებელია N9 დაწესებულების პატიმრებისთვის ტელევიზიების მაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობის („სეტ ბოქსების") მაღაზიაში შეძენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მისი საშუალებით სასურველი ქართულენოვანი ტელევიზიების ტელეტრანსლაციის მიღების მიზნით.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით: უზრუნველყოთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N9 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის ტელევიზიის მაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობის („სეტ ბოქსის") დაწესებულების მაღაზიაში (სხვა დაწესებულებების მსგავსად) ყიდვის შესაძლებლობა, პატიმრებისთვის მათ მიერ არჩეული ქართულენოვანი ტელევიზიების მაუწყებლობის მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 20 (ოცი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი